ქუთაისის სსიპ №33 საჯარო სკოლის ზუსტი მეცნიერებების კათედრის ანგარიში

2022-2023 სასწ.წ-1-ლი სემესტრი

მოგესალმებით, მე გახლავართ ქუთაისის სსიპ №33 საჯარო სკოლის ზუსტი მეცნიერებების კათედრის თავმჯდომარე გიორგი პერანიძე. წარმოგიდგენთ 2022-2023 სასწავლო წლის 1-ლი სემესტრის განმავლობაში ზუსტი მეცნიერებების კათედრის მოქმედ მასწავლებლებს:

1. თინათინ მიგინეიშვილი

2. მაკა სანიკიძე

3. ნათია კამკამიძე

4. გიორგი პერანიძე

5. მაია კაკაბაძე

6. ქრისტინე მაჭარაძე

7. თამთა ჯანაშია

კათედრის წევრებიდან 1 მენტორი, 1 წამყვანი და 5 უფროსი პედაგოგია. დავათვალიერე კათედრის წევრების ელექტრონული პორტფოლიოები. მათ აქვთ ატვირთული ელექტრონულად სამოქმედო გეგმებიც. საათობრივი ბადის განაწილების შემდეგ კათედრის წევრებმა წარმოადგინეს თემატური გეგმები და სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. მოხდა ამ გეგმების კათედრაზე განხილვა. კათედრაზე მოხდა კომპლექსური შემაჯამებელი სამუშაოების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება, რომელიც ითვალისწინებდა შეფასებას როგორც განმსაზღვრელს ასევე განმავითარებელს. კათედრის წევრები შემაჯამებელ სამუშაოებს ატარებდნენ წარდგენილი გრაფიკის მიხედვით. დროულად ხდებოდა სამუშაოს შეფასება და ჟურნალში შეტანა.

კათედრის ყველა წევრი დარეგისტრირებული მასწავლებელთა სახლის მიერ გამოცხადებულ ტრენინგ-მოდულებზე.

ზუსტი კათედრის პედაგოგებმა ქ-ნი თინათინ მიგინეიშვილმა და ქ-ნი მაკა სანიკიძემ განახორციელეს გაკვეთილებზე დასწრება

ზუსტი კათედრის პედაგოგებმა ქ-ნი მაია კაკაბაძემ და ქ-ნი ნათია კამკამიძემ კვლავ აგრძელებენ დაინტერესებული მოსწავლეებისათვის კოდინგის კლუბს, სადაც პროგრამირების საწყისებს ეუფლებიან მე-4, მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეები. კოდინგის კლუბში მეცადინეობები ჯერჯერობით დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობს Microsoft Teams-ის პლატფორმის გამოყენებით. ინოვაციურია კლუბის სამუშაო რეჟიმი. კლუბის სამუშაო სრული კურიკულუმი გადმოღებულია ხანის აკადემიიდან. ქვემოთ წარმოგიდგენთ ამ კურიკულუმის მცირე ნაწილს, რომელიც კოდინგის კლუბს სამუშაოდ გაწერილი აქვს ამ სასწავლო წლის ბოლომდე, დაგეგმილია კლუბის მუშაობის გაგრძელება საზაფხულო არდადეგების დროსაც. კლუბის სამუშაო რეჟიმის ინოვაციურობა მდგომარეობს შემდეგში: ყოველ თემას ხანის აკადემიის პლატფორმაზე აქვს შესაბამისი ვიდეოგაკვეთილი, პრაქტიკული სავარჯიშო და დავალება, რასაც კლუბის წევრები დამოუკიდებლად ასრულებენ სახლში. კლუბის შეხვედრაზე ხდება თითოეული წევრის მიერ შესრულებული დავალების პრეზენტაცია, პრეზენტატორი საუბრობს რა გაუადვილდა, რა გაუჭირდა, რა პრობლემის წინ დადგა, მას კითხვებს უსვამენ კლუბის დანარჩენი წევრები. იქვე ხდება გაურკვევლი საკითხების ახსნა-განმარტებაც. ყველაფერამას ფასილიტაციას უწევენ

კლუბის ხელმძღვანელები: ამავე სკოლის ისტ-ის პედაგოგი ნათია კამკამიძე და მათემატიკის პედაგოგი მაია კაკაბაძე.

როგორც მოგეხსენებათ სკოლაში ჩატარდა ედუ პარკი. რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა კლასის მოსწავლეებმა, მე-7ა კლასის მოსწავლეებმა ზურა საღარეიშვილმა, ვეფხო კვაშილავამ, ნიკოლოზ წიქორაძემ ჩაატარეს მათემატიკის გაკვეთილი მე-2 კლასში, მე-7ა კლასის მოსწავლეებმა დავით სულაბერიძემ და ანა გიორგობიანმა ჩაატარეს მე-3 კლასშ მათემატიკის გაკვეთილი, ასევე მე-7 გ კლასის მოსწავლეებმა მარიამ ბოლქვაძემ, მარიამ ავალიანმა, ნინო გველესიანმა ჩაატარეს მათემატიკის გაკვეთილი მე-3 კლასში.

რობოტექნიკის კლუბის წევრებამ მონაწილეობა მიიღეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ სამეცნიერო პიკნიკში, ასევე STEAM კონკურსში გააგზავნეს თავიანთი ნამუშევრები, მე-7 ა კლასის მოსწავლეებმა შექმნეს და გააზავნეს სკრეჩის აპლოკაცია ილია უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ სკრეძის კონკურსისათვის.

ქ-ნი მაია კაკაბაძე, ქ-ნი ქრისტინა მაჭარაძე და გიორგი პერანიძემ გაიარეს მაკმილანის ორენოვანი წიგნის საერთაშორისო ტრენინგში.

ბოლოს, მინდა წარმატება ვუსურვო სკოლას და რა თქმა უნდა ჩვენს კათედრას. მადლობთ ყურადღებისათვის.

პატივისცემით

სსიპ ქალაქ ქუთაისის N33 საჯარო სკოლის ზუსტი მეცნიერებების კათედრის ხელმძღვანელი გიორგი პერანიძე